

**საინფორმაციო-სასწავლო კურსი „კიბერუსაფრთხოება და კიბერ-ჰიგიენა“ საოლქო
საარჩევნო კომისიების წევრებისთვის**

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) პარტნიორობით, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის საინფორმაციო-სასწავლო კურსი „კიბერუსაფრთხოება და კიბერ-ჰიგიენა“ განახორციელა. პროგრამა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკას ეხმარება და კიბერ საფრთხეების პრევენციის მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობას ითვალისწინებს. მონაწილეები სასწავლო კურსის ფარგლებში კიბერუსაფრთხოების კონტროლის მექანიზმებსა და კიბერ-ჰიგიენის ძირითად გაიდლაინებს გაეცნენ.

სწავლება 2021 წლის 1 მარტიდან 12 მარტის ჩათვლით პერიოდში ონლაინ ფორმატში განხორციელდა და მასში მონაწილეობა 76 საოლქო საარჩევნო კომისიის 370-მა წევრმა (ქალი - 221; კაცი -149) მიიღო.

ინფორმაცია იხ.: <http://electionreforms.ge/geo/list/show/3077-sainformatsio-sastsavlo-kursi-kiberusaftrkhoaeba-da-kiber-higiiena-saolgo-saarchevno-komisiebis-tsevrebistvis>

<http://electionreforms.ge/geo/list/show/3082-sainformatsio-sastsavlo-kursis-kiberusaftrkhoaeba-da-kiber-higiiena-farglebshi-saolgo-saarchevno-komisiebis-tsevrebis-dastsrebis-statistika-2021>